დადგენილება:**დ-81.81221525**
თარიღი:**01/06/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალაქ ცაგერის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 აპრილის № 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალაქ ცაგერის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 აპრილის **№**19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/04/2022წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016542) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-4 მუხლი და მე-4 მუხლით დამტკიცებული დანართი №2 ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,, 3. პარკში, სკვერში ან გამწვანების ზონებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე დაჯარიმდება კანონით დადგენილი წესით, 50 ლარის ოდენობით“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,5. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაკისრებული ჯარიმის, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით,

ხორციელდება პირუტყვის რეალიზება საბაზრო ფასებით.''

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი № 1-ის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,9. ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალაქ ცაგერის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე დაჭერილი და სპეციალურ იზოლატორში გადაყვანილი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოველდღიური შენახვისათვის საჭირო ხარჯებს განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,კომუნალური მომსახურეობა“.

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-13 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) არ დაუშვას წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის გაშვება პარკში, სკვერში ან გამწვანების ზონებში მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე;''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი